1890 წლისა, № 17 15 ენკენისთვეს.

# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

შინაარსი: სამეგრელოის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ახალ-სენაკში. მართალი უკუღმართობა.—როგორ შემოიღეს წიგნის ბეჭდვა.—«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია მარტვილიდან.—წიგნთ-საცავი სოფ. ბავთისხევში.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მრავალ წამებული იობი.—რედაქციის პასუხი.

დაიბეჭდა და ისყიდება
«ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში»
(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი).
შვილის აღზრდა
პედაგოგიური წერილები
შედგენილი
თეოფილე ხუსკივაძის მიერ.
ფასი ერთი აბაზი.
(3—1)

## სამეგრელოის სამღვდელოების დეპუტატების კრება ახალ-სენაკში.

როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, აგვისტოს 27 და 28 სამეგრელოის სამღვდელოების დეპუტატებს კრება ჰქონდათ ახალ-სენაკში. ყველამ უწყის, თუ რა უთანხმოება გამოიწვია ამ სამღვდელოების შორის მათი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლისათვის სამუდამო ადგილის ამორჩევამ. სასწავლებლისათვის სამუდამო ბინის ამორჩევის შესახებ, ვგონებ, კითხვა აღიძრა 1879 წელში. დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ მხოლოდ დღეს გარდაწყდა ეს კითხვა საბოლოოდ. წარსულს წელში ამ კითხვის გარდასაწყვეტად მოწვეული იყო სამღვდელოების დეპუტატების კრება ახალ-სენაკში. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, რომ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი დარჩენილიყო ახალ-სენაკში. ამ უკანასკნელ კრებას კი უნდა გარდაეწყვიტა ხსენებული სასწავლებლისათვის შენობის აღშენება და ამ შენობისათვის საჭირო ხარჯის გამონახვა.

27 აგვისტოს სამღვდელოების დეპუტატების საკმაო რიცხვი შეიკრიბა. კრებამ ერთხმად აირჩია თავს-მჯდომარედ დეკანოზი სიმონ ელიავა და საქმის მწარმოებლად მღვდელი მ. თურქია. 28 აგვისტოს, დილით, კრებაზე მობრძანდა ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი გრიგორი, რომელმაც პირველად გადასცა ლოცვა-კურთხევა დეპუტატებს და შემდეგ განუმარტა მათ ის კითხვები, რომლებზედაც უნდა ჰქონოდათ დეპუტატებს მსჯელობა და რომლის გამო ისინი იყვნენ დაბარებულნი. მათმა მეუფებამ განუმარტა კრებას, თუ რა ცუდი შედეგი ექმნება სწავლის საქმისათვის, თუ მათ დროით არ აღაშენეს სასწავლებლისათვის შესაფერი შენობა. ამას გარდა მათმა მეუფებამ სხვა მრავალი დარიგებაც მისცა დეპუტატებს და თავის ბინაზედ წაბრძანდა.

ყოვლად სამღვდელოს წაბრძანების შემდეგ დეპუტატებში შეიქნა დიდი ბაასი სასწავლებლისათვის სახლის აღშენების შესახებ. ერთი რიგი დეპუტატე-

ბისა სასწავლებლისათვის სახლის აღშენებას ყოვლად შეუძლებლად რაცხდა. მეორე რიგი დეპუტატებისა სულ უარს აცხადებდა ამ სასწავლებლის საქმეში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან იგინი ძლიერ დაშორებულნი არიან ახალ-სენაკს. ამ აზრისანი იყვნენ, თითქმის, მთელი ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოების დეპუტატნი. ზოგიერთი დეპუტატები თხოვილობდნენ, რომ ერთი ათი წელიწადი კიდევ გადაედოთ სასწავლებლის სახლის აღშენების საქმე, იმ იმედით, რომ ამ ხანში რაიმე ცვლილება მოხდება და ხელახლად აღიძრება კითხვა სასწავლებლის სადმე სხვა ადგილზედ გადატანის შესახებო. ლაპარაკი ბევრი იყო, მაგრამ დეპუტატების აზრი ერთი მეორეს არ ეთანხმებოდა. ბოლოს დეკანოზმა დ. ლამბაშიძემ, რომელიც ამ კრებაზედ დაესწრო, ითხოვა სიტყვის ნება. კრებამ მისცა მას ნება სიტყვისა. ნების მიღების შემდეგ დეკანოზმა დ. ლამბაშიძემ მოახსენა სამღვდელოების დეპუტატებს შემდეგი: «მე თუმცა დეპუტატი არა ვარ, მაგრამ საწინააღმდეგოდ არ მიმაჩნია, ორიოდე სიტყვა მოვახსენო კრებას. ძლიერ სამწუხაროა, რომ თქვენი სასულიერო სასწავლებლის საქმე ამოდენი ხანი კიდევ დაუბოლოვებელია. ამ სასწავლებლის საქმემ თითქმის თავი მოაბეზრა მაღალ—მთავრობას, ადგილობით მთავრობა და თქვენც, მ. დეპუტატნო. რამდენჯერ შეკრებილა სამეგრელოს სამღვდელოება ჯერჯერ მარტო იმისათვის, რომ სასწავლებლისათვის სამუდამო ბინა გამოერჩიათ! კაცმა რომ იანგარიშოს ის ხარჯი, რაც დეპუტატებს მოსვლია ამ კრებებზე სიარულით, დიდ ფულს შეადგენს. და რამოდენი პირი გადაემტერა ერთმანერთს, რამოდენი უსიამოვნება მიადგათ სამღვდელოებას ამ კითხვის გარდაწყვეტის გამო, ეს სულ სხვაა კიდევ. რომ ერთსულობით და ერთგულობით მოეკიდნა ამ საქმისათვის ხელი სამღვდელოებას, დარწმუნებული ვარ, რომ პირველადვე ისე გათავდებოდა ეს საქმე, როგორც ამ უკანასკნელად დაბოლოვდა. სენაკის მაზრაში არის მარტო ეს ერთი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი. ამ ეპარქიაში ამისთანა ოთხ-კლასიანი სასწავლებელი ყველა მაზრებში უნდა იყოს, მაგრამ სიღარიბე არ გაძლევსთ ნებას, რომ ყველა მაზრებში გახსნათ სასულიერო სასწავლებლები; ამისათვის იძულებული ხართ, რომ სამმა მაზრამ ერთი სასწავლებელი იქონიოთ. რასაკვირველია, ყველა თავისკენ იწევს და ესაა მიზეზი, რომ სასწავლებლის საქმე ამოდენი ხანი არ გათავდა. მეტი ღონე არ არის, უნდა დაემორჩილოთ ბედს და სამუდამოდ გაათავოთ საქმე. მრავალი თქვენგანი იმ აზრის არის, რომ სასწავლებლის სახლის აღშენების საქმე ერთი ათი წლით კიდევ გადასდევან. როგორც გამიგონია, ვგონებ, ოც-და-შვიდი ათასი მანეთი უკვე შეკრებილი გაქვსთ სასწავლებლის სახლის აღსაშენებლად და დღეს მარტო ოცდა ხუთი ათასი მანეთიღა თუ იქნება კიდევ საჭირო თქვენგან. თუმცა სახლის აღსაშენებლად გეგმით ითხოვება 40 ათასიდამ 60 ათას მანეთამდე, მაგრამ, თუ მიიღებთ სახეში ქვისა და ხის მასალის სიიაფეს ახალ-სენაკში შეიძლება 45 ათას მანეთადაც ადვილად აღშენდეს სახლი. მაშასადამე თქვენგან უარის თქმა ამ კითხვის შესახებ საბოლოვოდ თქვენთვისაც უსიამოვნებას გამოიწვევს და თქვენს შვილებსაც დიდად დააბრკოლებს სწავლის საქმეში და, ვგონებ, არც მთავრობა დაგეთანხმებათ თქვენ, რომ გადაწყვიტოთ უბრალო და უპლანო ხის სახლის ყიდვის შესახებ. ჩემის აზრით მიუცილებელი საჭიროა, რომ ეხლავე აღირჩიოთ სასწავლებლის სახლის აღმაშენებელი კომიტეტის წევრნი, მიიღოთ ყოველივე ხარჯი, რაც სმეტით საჭირო იქნება სახლისათვის; აღმაშენებელ კომიტეტს მიენდოს შეუდგეს სახლის აღშენების საქმეს, გამოაცხადოს და მოიწვიოს ოსტატები და შეიტყოს, რამდენად აღებენ ნარდად და ან შინაურულის წესით, რა დაუჯდება სამღვდელოებას ეს შენობა; კრებამ დაავალოს კომიტეტს, რომ მან თავ-თავის დროზე მოახსენოს ხოლმე სამღვდელოებას სახლის აღშენების საქმე. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ რამდენჯერაც უნდა გადადვათ ეს კითხვა, მაინც არ აგცილდებათ სასწავლებლის სახლის აღშენება. ტყუვილა დაიხარჯებით უბრალო სიარულით და ბოლოს ისევ იძულებული შეიქნებით გეგმისამებრ აღაშენოთ სასწავლებლის სახლი. ყოველივე ამას მოგახსენებთ, მამანო დეპუტატნო, ძმურის პატივისცემის ანგარიშით; თქვენზეა დამოკიდებული: გნებავსთ მიიღებთ ამ ჩემს აზრს და გნებავსთ არა. მხოლოდ ერთსა გთხოვთ: ამ ბოლო დროს ზოგიერთებმა რაღაცა ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება სამღვდელოების კრებებს. სამღვდელოების კრებათა

დიდ და სასარგებლო მნიშვნელობას ძლიერ ამცირებენ. ამისათვის ჩვენ ყველანი უნდა ვსცდილობდეთ დაუმტკიცოთ მართებლობას, რომ სამღვდელოების კრებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და სამღვდელოებაც თავის საჭიროებაზე რიგიანად და საფუძვლიანად ზრუნავს». კრებამ მიიღო მ. დ. ლამბაშიძის წინადადება. კრება დათანხმდა კომიტეტის დანიშვნასა და შენობისათვის 40,000 მანეთის გამოღებაზე; და თუ შენობას კიდევ მეტი დასჭირდება, მაშინ ამ მეტ ხარჯსაც მიიღებს სამღვდელოება თავისთავზე. ამ საგანზე სიგელის შედგენა გარდასდევს საღამოისათვის. საღამოზე, თუმცა ლეჩხუმის მაზრის დეპუტატებმა უარი განაცხადეს, რომ იგინი ვერავითარს მონაწილეობას ვერ მიიღებენ სასწავლებლის საქმეში, მაგრამ დეპუტატების უმეტესი ხმით გარდასწყდა ორმოცი ათასი მანეთის გარდახდა სასწავლებლის სახლის აღსაშენებლად. ამ ორმოცი ათას მანეთში შედის ის ფულიც, რომელიც უკვე გადადებული იყო სასწავლებლის შენობისათვის. კომიტეტის წევრებად დაინიშნენ ბლაღოჩინები და დეკანოზები: მ მეუნარგია, ს. ელიავა, მღვდელნი: ქ. ბაწრელია, პ. ქეკელია, და სამეგრელოის სასწავლებლის ინსპექტორი დ. ალადოვი. ძლიერ სასიამოვნოა, რომ კომიტეტში, სხვათა შორის, დანიშნულია ბ. დ. ალადოვი. იმედია, რომ იგი თავის გამჭრიახობით და ცოდნით სასარგებლო იქნება და ერთი ორად წინ წასწევს შენობის საქმეს. ასე გათავდა სამეგრელოს სამღვდელოების უკანასკნელი კრება. კრებამ ცხადად დაამტკიცა, რომ სამღვდელოების შეკრებილება ისე უმნიშვნელო არ არის, როგორც ამას ჰფიქრობენ ზოგიერთები...

ჩვენ ვნახეთ სინოდისაგან დამტკიცებული სასწავლებლის შენობის გეგმა და ძლიერ მოგვეწონა. სახლი ორ სართულიანია და მთელს საექსარხოსოში ამისთანა მშვენიერი სასწავლებლის შენობა არ არის. ზოგიერთები აქებენ გორის სასწავლებლის სახლს, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს სახლი სრულებით არა ღირს იმ ფასად, რაც მასზეა დახარჯული და ოთახებიც რაღაცა ურიგოდ არიან დაწყობილნი. წარმოიდგინეთ, რომ ამოდენა შენობაში ორიოდე ოთახი არ არის თავისუფალი, რომ როდისმე პანსიონი გახსნას კაცმა, ან საავად-მყოფო მოათავსოს შიგ. თითქმის ნამეტანი ნაწილი სასწავლებლის სახლისა კიბეებს და კორრიდორებს აქვს დაჭერილი. ეკკლესია ხომ სულ მოუხერხებლად არის მომართული... სამეგრელოის სასულიერო სასწავლებლის შენობის გეგმა კი სწორედ გამოცდილი კაცისაგან არის შედგენილი.

დამსწრე.

## ძირითადი უკუღმართობა *).

დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ მაშინაც-კი ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობითს ძალასა, როდესაც იგი სტოვებს თავის სამშობლო ქვეყანას, შორდება მის ბუნებას და ვარდება უცხო ბუნებისა და ცხოვრების გავლენის ქვეშა. ამ შემთხვევაშიაც იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნების და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ის გადაკარგული პირი რამდენიმე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ უბრალო ნიჭიერი კაცი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი იქნება და თუ ბუნებისაგან ჰქონდა საშუალო ნიჭი, მტკნარს სიტუტუცეზედ ჩამოხტება: ეს ხდება იმიტომ, რომ ეროვნული აგებულება ყოველს კაცს ძლიერ ღრმად აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში და ამ აგებულების შეცვლა ითხოვს უცხო ბუნების და ცხოვრების მეტად დიდის ხნის გავლენას. მშვენივრად აქვს ახსნილი უშინსკის ეს სიმტკიცე ეროვნულ აგებულებისა: «შეხედეთ ადამიანებს, რომელნიც უცხოეთში გადასახლებულან, და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა გამძლეა ეროვნული ელემენტი კაცში. თაობანი სცვლიან ერთმანერთსა და მეათე თაობაც კი ვერ შეხორცებია ამ ქვეყნის ხალხის ორგანიზმსა, დარჩენილია გარეშე. თითქო უსულო რამე შეუჩხირიათო. შეიძლება ადამიანმა კიდეც დაივიწყოს სახელი თავის სამშობლოსი, მაგრამ ეროვნული ხასიათი კი ზედ შერჩება, ვიდრე ახალ-ახალი ტალღები უცხო სისხლისა არ წაშლის მას. ასე ღრმად ჩასდგა ქვეყნის შემოქმედმა საძირკველი ეროვნებისა ადამიანის ბუნებაში».

*) იხ. «მწყემსი» № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადარეთ ნიჭით, მხნეობით და სულიერის ძალით ჩამომავალნი ქართველთა, რომელნიც ამ საუკუნის დამდეგს გადასახლდნენ რუსეთში, იმათ წინაპართ, და თქვენ დაინახავთ, რომ რამდენადაც ეს უკანასკნელნი იყვნენ ძლიერნი, იმდენად პირველნი არიან უძლურნი და ყოველს მნიშვნელობას მოკლებულნი. მაშინ, როდესაც ვახუშტი, იოსებ სამებელი და მათნი თანაშემწენი თვით უკიდურეს გაჭირებით გარემოცულნი, რუსეთში ნაყოფიერად შრომობდნენ ქვეყნისათვის და ღრმა კვალი დასტოვეს ჩვენ ცხოვრებაში, ახლანდელი რუსეთის ქართველები, ათასჯერ უკეთესს მდგომარეობაში მყოფნი, ყოვლად გამოუსადეგარნი არიან საქართველოსათვისაც და რუსეთისათვისაც. პირველისათვის იმიტომ, რომ იგინი დაბადებიდგანვე მოკლებულნი არიან დედა-ენას, სამშობლო ბუნებისა და ცხოვრების გამაცხოველებელს ზედ-გავლენას; მეორესათვის იმიტომ, რომ ჩამომავლობითი აგებულება, სისხლისა და ნერვების თვისება აქამდის ეწინააღმდეგება მათს ახალს ენას, ახალს ბუნებასა და ცხოვრებას. იგინი მოგაგონებენ საბრალო კახურს ვაზსა, თავის სამშობლოდგან ჩრდილოეთს გადარგულს, რომელიც, მოკლებული თავის შესაბამს ნიადაგს, ღონიერ და გემრიელ ღვინის მაგიერ აყენებს მჟავე და წყალ-წყალა სასმელსა.

თუმცა უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში იმასაც, რომ ერთის უცხო ენის მაგივრად ჩვილს ბავშვებს ასწავლიან ორსა და სამს უცხო ენას ერთად. ეს გახლავთ ორ-კეცი და სამ-კეცი უკუღმართობა, რომელსაც მოსდევს სწორედ საშინელი შედეგი ბავშვის გონებისა და ხასიათისათვის. იშვიათის ნიჭის ბავშვი უნდა იყოს, რომ გაუძლოს ამ უკიდურესს უგუნურებასა და არ გატუტუცდეს. ამ შემთხვევაში ენები ერთმანერთს ხელს უშლის, ერთი ენა მეორეს არ აცლის გადგას ფესვები ბავშვის ბუნებაში, შეუხორცდეს იმის სახსოვარსა და გონებას. ბავშვის აზრი და გრძნობა მოკლებულია შეძლებას შეიმოსოს რომელიმე განსაზღვრულ მეტყველების ტანისამოსით და ამის ვამო იხუთება, უძლეურდება. ბავშვი უხეიროდ სწავლობს ლატაკს რუსულს, ლატაკს ფრანციულს, ლატაკს ნემეცურს და ჰხდება საზოგადოდ ლატაკის მეტყველების პატრონი. «ჩვენ გვინახავს ბავშვებში ამ გვარად აღზრდილნი, ამბობს იგივე უშინსკი. ესენი ყოფილან ან მტკნარნი ტუტუცნი, ან სრულიად მოკლებულნი რამე შემოქმედებითს ძალასა, რომელიც იპოვება თვით სუსტ-გონებიან ბავშვშიაც კი, თუ იგი დამახინჯებული არ არის უკუღმართის აღზრდით. ამ დამახინჯებულის ბავშვების ნახვა თვალებს აუხელდა იმ მშობლებს, რომელნიც მსგავსადვე ზრდიან შვილებსა. საბრალო ბავშვებო! რა საშინელი მკვლელობა ჩაუდენიათ თქვენ მშობლებს. მათ თქვენ არამც თუ მოუწყვეტნიხართ სამშობლოსა, პოეზიასა, ხასიათსა, სასულიერო საზრდოს, არამედ ადამიანები გადაუქცევიხართ სამასხარო თოჯებად, თანახმად მოდის მოთხოვნილებისა“.

უგუნური მშობლები კი, როდესაც თავის ჩვილს ბავშვებს რამდენსამე ენაზედ მოტიტინეს ჰხედავენ, აღტაცებაში მოდიან და დიდებულის მომავალის თანახმად სთვლიან ამას. ის კი არ იციან, რომ ამგვარის აღზრდით თავის შვილების მომავალს საფლავში ჰმარხავენ თავისისავე ხელებით.

ზოგნი დედა-ენას უარს არა ჰყოფენ, მაგრამ მასთან ერთად ჩვილს ბავშვებს ასწავლიან ერთს რომელსამე სხვა ენას, ხშირად ჰხდება ისე, რომ მშობელნი ელაპარაკებიან ერთს ენაზე, გამდელნი და მოსამსახურენი მეორე ენაზე. ამ გვარის მშობლების აზრით, მათნი შვილნი ექვსი შვიდის წლის განმავლობაში ისწავლიან ორს ენასა. და წინ გაუსწრობენ იმ მშობელთა შვილებს, რომელთაც მარტო დედა-ენაზე ელაპარაკებიან, მაგრამ ძლიერ სტყუვდებიან. თუმცა ეს წესი ისეთი დამღუპველი არ არის, როგორც ერთად სწავლება რამდენისამე უცხო ენისა, მაგრამ მისი მავნებლობა კი აშკარაა. ჩაბეჭდილებანი უცხო ენისა ასუსტებენ და შლიან დედა-ენის ჩაბეჭდილებათა, ბავშვს ხან ერთი ენა ავიწყდება, ხან მეორე და დედა-ენის იგი მეშვიდე წელიწადში ხმარობს ისე, როგორც ნამდვილი ქართველი ბავშვი მეოთხე წელში. ენის განვითარების შეყენებას მიუცილებლად მოსდევს აზრისა და გრძნობის შეფერხება და ამიტომ ამ გვარად აღზრდილნი ბავშვნი უკან რჩებიან თავის ტოლებს როგორც მეტყველებაში, ისე აზროვნებაში.

ზოგნი სცვლიან ბუნებრივს რიგს ენების სწავლებაში და ჯერ აკვნიდგანვე ასწავლიან რომელსამე უცხო ენასა და შემდეგ დედა-ენაზედ აწყებინებენ ლაპარაკს. რომ ეს უკუღმართი წესი მავნებელი უნდა იყოს ბავშვისთვის და გონების გახსნა უნდა დაუგვიანოს და შეუსუსტოს მათ, ეს მკითხველმა უკვე კარგად იცის; მაგრამ სავალალო აქ კიდევ სხვა ენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია. დედა-ენა იმითია კაცისათვის ძვირფასი, რომ ღრმად იდგამს ფესვებს მის ბუნებაში, ძლიერ შეველის და ეწევა აზროვნობისა და მგრძნობიარობის სიღრმესა. ხოლო უცხო ენა, როგორც ვსთქვით, ვერას დროს ვერ ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში, როგორც მისთვის შეუსაბამო ნიადაგში, და ვერას დროს ვერ გაუწევს დედა-ენის სამსახურს კაცის აზროვნობას და გრძნობას, და არამც თუ ამ შემთხვევაში თითონ უცხო ენა კაცის ბუნების ზედა-პირზედ სლიკინობს, დედა-ენისათვისაც უკვე შეუძლებლად ხდის ღრმად გაიდგას ფესვები, რადგანაც, ერთის შეურყეველის ფსიხოლოგიურ კანონის ძალით, პირველი ენის შთაბეჭდილებანი გზაზედ ეღობება მეორე ენის შთაბეჭდილებათა, არ უშვებს ქვევით და სტოვებს მათ ტვინის სულ ზედა-პირს. იმ შემთხვევაში უცხო ენა მოგვაგონებთ იმ ავს ძაღლსა, რომელიც თივაზედ იწვა, ვერც თითონა სჭამდა და არც სხვას აჭმევდა. ძირითადს კუნჭულებს ბავშვის ბუნებისას გადეღობება ხოლმე ზევიდგან უცხო ენა და ვერც თითონ უწევს მათამდის და აღარც სამშობლო ენას უშვებს ძირს. ამ გვარად აღზრდილი ბავშვებისაგანაც პედაგოგები კეთილს არასფერს მოელიან. «ამ გვარად აღზრდილი კაცი, ამბობს უშინსკი, ვერ შეიძლებს იოტის ოდენა რამე შეჰმატოს ხალხის გონებითს სიმდიდრეს, ვერ შეიძლებს უცხოური გადააქციოს ეროვნულად; ვერას დროს ვერ შეიგნებს თავის ერსა და ვერას დროს ვერც ერისაგინ იქმნება იგი შეგნებული, იქმნება უსარგებლო წევრი საზოგადოებისა, იქმნება საბრალო კაცი, სამშობლოს მოკლებული, და მას ვერას უშველის თვით ცხარე პატრიოტობის მასკის ჩამოცმაც“.

ამ გვარი მავნებელი ზედ გავლენა აქვს დედა-ენის გაცვლას უცხო ენაზედ მაშინაც კი, როდესაც ეს დედა-ენა განუვითარებელია, გაუშლელია, სდგას დაბალს ხარისხზედ და ღარიბია ყოველის მხრით. მით უმეტესად მავნებელი უნდა იყოს ზურგის შექცევა იმისთანა დედა-ენისა. როგორიც არის ქართული ენა, განვითარებული, გაშლილი, კულტურული, მდიდარი როგორც ლექსიკონით, ისე გრამატიკულის ფორმებითა და პატრონი სრულის ორგანიზაციისა, უმაღლესის აგებულებისა.

მეორე მხრით, უცხო ენის მიერ გაძევება ბავშვის გონებიდგან დედა-ენისა მაშინაც-კი დიდ ვნებას შესძლენის მასს, როდესაც ეს უცხო ენა ახლო ნათესავია დედა-ენისა, ბევრით ჰგავს მასს, ადვილად შეითვისების და ძლიერ არ ეწინააღმდეგება ბავშვის ფსიხოლოგიურსა და ფიზიოლოგიურს აგებულებასა. ჩვენი ქართული ენა ისეთს განსაკუთრებულს მოვლენას შეადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში, ისე ნაკლებად ჰგავს სხვა ევროპიულს ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან აღიარონ იგი განცალკევებულის გუნდის წარმომადგენელად და არ მისცენ ადგილი არც ტურანულ და არც ინდო-ევროპიულ ენათა შორის.

ამის გამო ყოველი ევროპიული ენა, რომელიც კი ქართველის ბავშვის გონებაში დაიჭერს დედა-ენის ადგილს, დაბადებს წინააღმდეგობას მის სიტყვიერების და აგებულობის შორის და მის გონების ვარჯიშობას, თავისუფალს მოძრაობას და გახსნილობას სწორედ ისევე დაუშლის, როგორც ჩვენს სხეულს აბრკოლებს მოძრაობაში შეუსაბამო ტანისამოსი, რომელიც ზედ არ არის გამოჭრილი, ზოგან ვიწროა, ზოგან განიერი, ზოგან მოკლე და ზოგან გრძელი. ამ შემთხვევაში ულრმესი მხარენი ბავშვის ბუნებისა რჩებიან უსაზრდოოდ, უვარჯიშოდ, ქრებიან და მიეცემიან ატროფიას, გაუქმებას. აქ ბავშვის ბუნებას მოსდის იგივე, რაც მოუვა ხოლმე ღრმა სიმსუქნის პატრონს მიწასა, რომელსაც იმის მაგიერ, რომ გუთნით მოხნან ღრმად, ზეიდგან სჩიჩქნიან ულონო კავით; ყანის აღზრდაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ზედა პირი მიწისა, და ქვემოთა მისნი მსუქანი ნაწილნი კი უქმადა რჩებიან, და ამიტომ მოსავალი ამ გვარად მოხნულს მიწას მოჰყავს მცირე და მდარე.

დიახ, მხოლოდ დედა-ენას შეუძლიან გაუწიოს ბავშვს ბუნების ნიადაგის გუთნებრივი სამსახური. მხოლოდ მას ძალ-უძს ღრმად შესძრას იგი, ჯეროვნად შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირიან-ფესვიანად. ხოლო ვინც დედა-ენის მაგივრად ხმარობს უცხო ენასა, ამ სუსტ ამჩიჩქნს კავს, იგი აუცილებლად აღზრდის თავის შვილებში ზედა პირობას აზრისას, ფუქსავატობას მსჯელობისას, ქარაფშუტაობას გრძნობისას და სისუსტეს ხასიათისას. ამ გვარად აღზრდილი ბავშვი თავის დღეში ვერ გამოსცდის იმ სანეტარო აღტაცებას, რომელშიაც მოჰყავს ბუნების კანონზედ აღზრდილი ყმაწვილი ხელოვნურს სამშობლო ლექსს, თუ სხვა სამშობლოს ლიტერატურულს ნიჭიერს ქმნილებას, ვერას დროს მისი ნერვები ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსცდის იმ საამურს ციებ-ცხელებას, გამაცოცხლებელს ჟრუანტელს, რომელსაც ჰბადავს ყველა დაუმახინჯებელს ყმაწვილში სამშობლო ჰანგი, სიმღერა, საუკეთესო გამომხატველი ერის სიხარულისა და ნაღვლისა,—ვერას დროს ვერ იგრძნობს იმ კეთილ-შობილს გატაცებასა და აღმაფრენას, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე მოქმედება რომელისამე სამშობლო გმირისა.

ამითი არ თავდება სია იმ მავნე შედეგთა, რომელნიც მოსდევენ დედა-ენის უარ-ყოფას. მხოლოდ დედა-ენა ხსნის ყოველს ადამიანში ერთს განსაკუთრებულს ნიჭსა, მინიჭებულს ქვეყანაზედ მხოლოდ მეტყველის ადამიანისათვის. ამ ნიჭს ევროპიულს ენებზედ აქვს განსაკუთრებული ტერმინი, სახელი, და ქართული და რუსული ენა კი მოკლებულია ამ ტერმინსა. ეს ნიჭი გახლავთ ალღო ენისა. მდგომარეობს იგი იმაში, რომ ბავშვიც კი სრულის გრამატიკურის კანონების დაცვით თხზავს იმისთანა სიტყვებსა და ფრაზებს დედა-ენაზედ, რომელნიც არავისაგან გაუგონია, არ უსწავლია, და რომელნიც მის მშობლიურ ენის ბუნებას და ხასიათს სრულიად ეთანასწორებიან, ეთანხმებიან, თხზავს თავისებურად და ავარჯიშებს თავის მეტყველების შემოქმედებითს ძალას. როგორა ხდება ეს? ისე, რომ დედა-ენა გამომდინარეობს ბავშვის ბუნებიდგან, როგორც ხმა საკრავ იარაღიდგან, ანუ, სულ რომ მდაბიური გამოხატულება ვიხმაროთ, ბავშვი დაორსულებულია დაბადებიდგან დედა-ენით და მის გარშემო მყოფნი სულიერნი უფრო ბებიის როლს თამაშობენ, ვიდრე მასწავლებლისას. მაინც და მაინც თუ ბავშვი ერთის მხრივ სწავლობს დედა-ენასა, ითვისებს მას გარეგან ზედ-გავლენის ქვეშ, მეორე მხრივ შინაგანი მოთხოვნილებისა და მიდრეკილობის წყალობით ჰქმნის მას, ჰბადავს, შობავს. ენის ალღო გახლავთ ერთად-ერთი წმიდა წყარო ენის გამდიდრებისა, მისის გაფურჩქვნისა, განვითარებისა, მრავალის თავისებურის სტილისა. მოაკელით ადამიანებს ეს ნიჭი, და ერის ენის სიცოცხლე შესდგება, შეჩერდება, გაქვავდება და დაშრება წყარო ცოცხალის მეტყველებისა. არც ერთს უცხო ენას არ შეუძლიან ავარჯიშოს ალღო ენისა; იგი არ გამომდინარეობს ბავშვის ბუნებიდგან, არამედ მთლად გარედგან შედის სახსოვრის შუამავლობით. იგი ბავშვის ორგანიზმთან არც ერთის ძაფით არ არის დაკავშირებული, შორს არის მის სულსა და გულზედ, მის მიდრეკილებასა და მიმართულებაზედ. ამიტომ ბავშვი უცხო ენას მხოლოდ სწავლობს სახსოვრითა და იხსომებს ყოველს სიტყვასა და ფრაზას და მთლად მოკლებულია შეძლებას შემოქმედებითი ძალა ამუშაოს, ალღო ენისა ავარჯიშოს და განივითაროს. ამითი აიხსნება ის კარგად ცნობილი მოვლენა, რომ არც ერთს მწერალს, რომელსაც კი უცხო ენაზედ უწყვია წერა, არ შეუქმნია თავისებური სტილი, და მეტ-ნაკლებობით ყოფილა უფხო და ღარიბის ენის პატრონი. აქედგან ცხადად დაისკვნება, რომ მოლაპარაკე მარტო უცხო ენაზედ მეტყველი არსებაა მხოლოდ გარეგნობით, ნახევრობით და უჭირავს შუალა ადგილი ადამიანთა და პირუტყვთა შორის. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ამ ყოფაშია არა კერძო პირი, არამედ მთელი ხალხი. რას ეგვანება იგი? არსებათა ხროვას, რომელნიც პირუტყვებს დაშორებიან და ადამიანებშიაც გამოწყვეტილან. რა ბედი მოელის ამ ხალხს? დაქვეითება, გალატაკება, დაცემა, ამოფხვრა, გაქრობა.

რომ მოქმედებითი ძალა დიდს მონაწილეობას იღებს დედა-ენის შეთვისებაში და უცხო ენის სწავლის დროს კი უქმად არის, ამას აშკარად გვამცნევს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ უგონიერესნი და უნიჭიერესნი პირნი, სუსტის სახსოვრის პატრონნი, მთელს თავისს სიცოცხლეში ერთს უცხო ენასაც ვერ შეისწავლიან ხოლმე, თუმცა ბევრსა სცდილობენ და ამავე დროს დედა-ენის ღრმა ცოდნაში და მის მარჯვე ხმარებაში ნამდვილს ვირტუოზობას იჩენენ და სამაგალითო, კლასიკურის ენითა სწერენ და ლაპარაკობენ. ამ გვარნი პირნი ბევრნი მოიპოვებიან ყველა ქვეყანაში, ევროპაში, რუსეთში, ჩვენში. მაგალითად საკმარისია დავასახელოთ სახელოვანი რუსეთის კრიტიკოსი ბელინსკი. იგი სწერდა და ლაპარაკობდა ისეთი მშვენიერი, ისეთი ძლიერი და ისეთი მდიდარი რუსული ენით, რომ ბადალი არა ჰყავდა და ახლაც არა ჰყავს. ამავე დროს მან გამოიჩინა საოცარი სისუსტე უცხო ენების სწავლაში და მთელს თავისს სიცოცხლეში, წინააღმდეგ თავის მხურვალე წადილისა და დიდის ხნის ცდილობისა, ვერ შეითვისა ვერც ნემენცური და ვერც ფრანციული, თუმცა ამ ენებს რუსულს ენასთან ახლო ნათესაობა აქვთ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ბელინსკის უკულმართი მშობელნი ჰყოლოდა და ბავშობიდგანვე რუსულის ენის მაგიერად ესწავლებინათ უცხო ენა. რა გამო-

ვიდოდა? ბელინსკი მოაკლდებოდა მშვენიერს ცოდნას დედა-ენისას, შეეხუთებოდა აზრი და გრძნობა და უცხო ენასაც ხეირიანად ვერ შეითვისებდა,—და ამისი პირ-და-პირი შედეგი იქმნებოდა ისა, რომ იგი, სახელოვანისა და შეუდარებელის კრიტიკოსის ნაცვლად, გამოვიდოდა უხეირო მწერალი, ძალასა, თავისებურობასა და გავლენას მოკლებული. («Ივერია»)

(შემდეგი იქმნება).

## როგორ შემოიღეს წიგნის ბეჭდვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭდვითი სიტყვას. წიგნების ავტორები კვდებიან, მაგრამ მათი ნაწერები საუკუნოდ რჩებიან ქვეყანაზედ. მრავალ წელს გაუვლია ზოგიერთი მწერლების გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მათი წიგნები ერთი თაობიდგან მეორე თაობის ხელში გადადიან და მათგან ახალი თაობა იძენს სწავლა-მეცნიერებას.

ყოველივე მეცნიერება და ხალხის სიბრძნე დაცულია წიგნებში, რომელნიც ხსნიან ჩვენს გონებას და მასთან ეს წიგნები ცხადი მოწამენი არიან წარსულის დროთა.

საბრალოა ის ხალხი, რომელსაც ბეჭდვითი სიტყვა არა ჰქონია. ასეთ ხალხს მუდამ სძინავს და ერთ დონეზე სდგას.

აქედგან ყველასათვის ცხადია ის დაუვიწყარი სამსახური, რომელიც ამ 450 წლის წინად გაუწია კაცობრიობას მაინცის ერთმა მოქალაქემ, იოანნე გუტენბერგმა, რომელმაც პირველად მოიგონა წიგნების საბეჭდავი. ყოველმა დგმამ ღრმა მადლობით უნდა მოიგონოს ამ შესანიშნავი კაცის სახელი. იოანნე გუტენბერგის სამსახური უფრო დიდად ფასდება, როცა წარმოვიდგენთ, თუ რა მდგომარეობაში იყო ძველს დროში წიგნების გამოცემის საქმე.

კაცის პირველი წიგნი იყო გაკეთებული ხისაგან ანუ ქვისაგან; მისი პირველი კალამი იყო მაგარი დანა ანუ ნაჯახი. დაბადებიდგან ვიცით, რომ მოსემ ათი მცნება დაუხატა ებრაელებს ქვის ფიცარზედ. ოთხი ათასი წლის წინად ეგვიპტელები მთელს თქმულებას და ისტორიულ მოთხრობათა სჭრიდენ თავიანთ პირამიდების კედლებზე. ბაბილონის ნანგრევებში დღესაც პოულობენ აგურებს, რომლებზედაც ამოჭრილი არიან წერის ნიშნები. პარიჟის საერო წიგნთ-საცავში დღესაც ინახება ერთი ნაჭერი ვერცხლოვანი ტყვიისა, რომელიც რომაელებმა იპოვეს ასი წლის წინად ქრისტიანობამდის ისპანიის მადნებში. ამ ტყვიის ნაჭერზე ამოჭრილია დიდი ასოებით სახელები ორი კაცისა, რომელთაც პირველად დაუწყიათ ამ მადნების შემუშავება. ოფიციალური ოქმები ეგვიპტელებისა და ბერძნებისა ხშირად ამოჭრილნი იყვნენ ხოლმე ქვის ანუ ბრინჯაოს თხელს ფიცრებზე. ეს საბუთები ინახებოდენ კედლებში, ან კედლებზე იყვნენ ხოლმე მიჭედილნი ლურსმებით. საპატიო ატესტატები, რომელნიც სამხედრო უწყებისაგან ეძლეოდა რომაელ სალდათებს მრავალი წლის სასარგებლო სამსახურისათვის, იწერებოდენ ბრინჯაოს თხელს ფიცრებზე. თუ ფიცრის ორივე გვერდი იქნებოდა ხოლმე დაწერილი, მაშინ ამ ფიცრებს ლურსმებით კი არ აჭედდენ კედლებზე, არამედ პატარა ჯაჭვებით ჰკიდებდენ, რომ მნახველთ შესძლებოდათ ნაწერის წაკითხვა ფიცრის ორივე გვერდზე.

ამ დროს მთელი წიგნთ-საცავები სავსენი იყვნენ თიხის თხელი ფიცრებით. თიხის მწერლობის ნაშთები აღმოაჩინეს ამ მეცხრამეტე საუკუნეში. იმ ადგილს, სადაც იდგა ასირიელების ძველი სატახტო ქალაქი, დიდი ხნიდგან ნახულობდენ ჩოქურთმებს, რომლებზედაც იყვნენ წიგნის მსგავსი წარწერები ქალდეველების ძველს ენაზე. ამ საუკუნის ნახევარში ამ ადგილს ნახეს აგურების და თიხის თხელი ფიცრები, რომლებზედაც აღმოჩნდა წარწერანი ქალდეველთ ენაზე. ნაწერები არის ხაზების მსგავსი. დიდი მეცადინეობისა და შრომის შემდეგ მეცნიერთ შეისწავლეს ამ ხაზების წაკითხვა და ამ გვარად გამოარკვიეს, რომ ქალდეველთ ენა მოსპობილ იქმნა 1700 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, თუმცა ასირიელი მეცნიერები შემდეგაც დიდხანს სწერდენ ამ ენაზე ისე, როგორც საშუალ საუკუნეებში ევროპაში სწერდენ ლათინურს ენაზე. ამ თიხის წიგნებით სავსე იყო მრავალი საზოგადო წიგნთ-საცავები, სადაც მკითხველებს შეეძლოთ მოეთხოვათ წასაკითხად საჭირო წიგნი. ამისთანა წიგნთ-საცავები მოიპოვებოდენ მრავალს ადგილს მესოპოტამიაში. ასირიელების წიგნის მასალა ძალიან იაფი იყო, თუ ეს წიგნები ერთს ადგილს რჩებოდენ, მაგრამ თიხის წიგნები ძალიან მოუხერხებელნი იყვნენ, რადგან გადასატანადაც მძიმენი იყვნენ და მასთან დიდს ადგილს იჭერდენ.

უფრო კარგი მასალა წერისათვის, რომელსაც ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდენ უწინდელს დროში, გამოიგონეს ეგვიპტეში. ჯერ კარგად შეტყობილი არ არის, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, ეგვიპტეში დაიწყეს ქაღალდის მზადება. ქაღალდს ამზადებდენ მცენარე პაპირუსის ბეწვისაგან. მაგრამ ეს ქაღალდი მეტად ნაკლები იყო და მასთან ძვირადაც იყიდებოდა. ამ ქაღალდის მარტო ერთ მხარეზედ შეიძლებოდა წერა. თუმცა ასეთი ნაკლულევანება ჰქონდა, მაგრამ მან დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას.

პაპირუსი იხმარებოდა გრძელი ზოლების სახედ. ეს ზოლები დახვეულნი იყვნენ ჯოხებზე, რომლებსაც ორივე თავები წაწვრილებულნი ჰქონდათ. ჯოხის ზემო თავზე იყო მიკრული ნიშანი, რომელზედაც დანიშნული იყო წიგნის სათაური; ეს სათაური ყდის მაგიერობას შვრებოდა. წიგნთ-საცავებში ეს ნახვევები დაწყობილი იყვნენ თაროებზე ისე, რომ სათაურები მოუჩანდათ.

მეშვიდე საუკუნის წინ ქრისტეს დაბადებამდე ამ ხვეულებზე წერა ეგვიპტიდგან გავრცელდა საბერძნეთში და აქედგან რომში; მაგრამ პაპირუსისაგან ქაღალდის კეთება დიდხანს მარტო ეგვიპტელებმა იცოდენ, მხოლოდ ბოლოს ხანს რომაელებმაც ისწავლეს პაპირუსისაგან ქაღალდის კეთება და კიდეც მოაწყვეს ქაღალდის საკეთებელი ქარხნები.

და ბოლოს პაპირუსისაგან მშვენიერ ქაღალდს ამზადებდენ რომში, მაგრამ რადგან ხან-და-ხან პაპირუსი არ მოდიოდა, ამიტომ ქაღალდის კეთება ან მთლად ისპობოდა და ან მეტად ძვირად იყიდებოდა. ამ სიძვირის გამო საბერძნეთში პაპირუსის ნაცვლად ხის კანების ხმარება დაიწყეს. სწერდენ აგრეთვე ტილოებზე, მაგრამ საჭირო ოქმებს და საბუთებს მარტო პაპირუსზე სწერდენ.

მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე შემოიღეს ეტრატებზე წერა. ტყავს ძველი დროიდგანვე ხმარობდენ საწერად. როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, პერსიელების საღმრთო წიგნები დაწერილნი იყვნენ 1,200 ხარის ტყავზე. აღმოსავლეთიდგან ტყავზე წერა გავრცელდა საბერძნეთში. ებრაელებს დღესაც მტკიცედ აქვსთ დაცული ძველი ჩვეულება. ისინი სალოცავებში სახმარებელ მცნებებს დღესაც ტყავებზე სწერენ. უწინდელს დროში ებრაელები იმისთანა გრძელ ტყავებს ამზადებდენ, რომ მათზე მთლად იწერებოდა მოსეს ხუთი წიგნი.

თუმცა ბერძნებს და რომაელებს წიგნის საბეჭდავებთ არა ჰქონდათ, მაგრამ მათში წიგნების გამოცემის საქმე ძალიან გავრცელებული იყო, როგორც კი გაათავებდა რომელიმე მწერალი წიგნის წერას, მაშინვე პირობით ეკრებოდა წიგნის გამომცემელს. უკანასკნელი იღებდა ხელთნაწერს, მიჰქონდა იგი დიდს ზალაში, სადაც სტოლების გარეშე ისხდენ ხშირად ასი დახელოვნებული მწერალი. მათ წინ ეწყოთ წმინდა ხვეულები, ორნაირი საწერლები ორნაირი ფერის მელნით და კარგად გამოჭრილი ლერწამი. თავისი ალის ბრძანებისა მებრ ისინი ანებებდენ თავიანთ საქმეს თავს; ერთი მათგანი ადიოდა მომაღლო ადგილზე და უკარნახებდა ხელნაწერს თავის ამხანაგებს, რომელნიც გამალებით სწერდენ და რამოდენიმე საათის შემდეგ მზად იყო იმოდენი ცალი მოთხრობისა, რამოდენსაც შეუკვეთდა მწერალი წიგნის გამომცემელს. წიგნის გამოცემის შემდეგ სვეტებზე გააკრავდენ განცხადებას, რომ ამა-და ამ წიგნის-გამომცემლისაგან გამოიცა ესა და ეს მოთხრობა და მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონო.

უფრო მოსწონდათ ის წიგნები, რომლებიც თვითონ მათი ავტორებისაგან ანუ ღრამატიკის მცოდნე პირებისაგან იყვნენ ხოლმე გასწორებულნი. განსაკუთრებით მოსწონდათ მწერლების საკუთარი ნაწერები. ათინაში არსებობდა განსაკუთრებითი წიგნთ-საცავი, სადაც ინახებოდენ შესანიშნავი წიგნები ყოველიგე შეცდომისაგან გასწორებული. რომში საუკეთესო წიგნის მაღაზიებთან იყვნენ ერთი ანუ რამოდენიმე პირნი ღრამატიკის მცოდნენი, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ხელთნაწერების გასწორება; ხელთნაწერის გასწორების შემდეგ ისინი ამოწმებდენ წიგნს თავის ხელის მოწერით.

რომში წიგნის მაღაზიებში ნახულობდენ ერთი-ერთმანერთს მწერლები, მეცნიერები და მწერლობის მოყვარულნი. წიგნის მაღაზიებთან გამართულნი იყვნენ სამკითხველო ოთახები, სადაც მცირე საფასით შეეძლო კაცს ახალი ხელთ-ნაწერის წაკითხვა. ბოლოს დროს ასეთი წიგნის მაღაზიები თან-და-თან გავრცელდენ რომში.

მეხუთე საუკუნიდამ მოყოლებული მეცხრე საუკუნემდე დასავლეთ ევროპაში ხან ერთს ადგილს და ხან მეორეში ვრცელდებოდა წიგნების გამოცემა. ეს დამოკიდებული იყო წიგნის მოყვარულ პირებზე. ზოგს ადგილას ასეთი პირი მარტო ერთი მოიპოვებოდა, ხოლო ზოგან ასობით იყვნენ. ეს პირნი სწერდენ როგორც ძველს წიგნებს, ისე ახლებსაც ადგენდენ, უმეტესად ის-

ტორიულ წიგნებს. მეექვსე საუკუნეში კასიოდორმა, რომელმაც შეადგინა რამოდენიმე წიგნი, რომლებშიაც მოთავსებული იყო სხვა და სხვა სწავლა, დაუტევა ქვეყანა, შეჰკრიბა ერთ მონასტერში მწერლები. მეშვიდე საუკუნეში კითხვა და წიგნების წერა ძალიან გავრცელებული იყო ირლანდიის მონასტრებში; ირლანდიელ მისსიონერებს დაჰქონდათ თავიანთი წიგნები და ავრცელებდენ მთელს ევროპაში. შემდეგ ირლანდიელების ადგილი ამ საქმეში დაიკავეს ინგლისელებმა: გამოჩენილი ალკუინი, სანამ ის გადასახლდებოდა კარლოს დიდთან, იორკში ეჭირა იორკის სკოლის მასწავლებლის და წიგნთ-საცავის გამგის თანამდებობა, სადაც ათასობით იყვნენ მოწაფენი და ათი ათასობით იწერებოდენ წიგნები. შემდეგ ალკუინმა მიიღო ტურსკის მონასტრის (საფრანგეთშია) წინამძღვრობა; ამ მონასტერში მან დაარსა სკოლა და მდიდარი წიგნთ-საცავი.

საშუალო საუკუნეებში უმთავრესად წიგნებს სწერდენ ბერები. ყველა დიდს მონასტრებში იყო ხოლმე კერძო განყოფილებანი, სადაც სწერდენ წიგნებს. ასეთი საქმე ძალიან სახელდახელო იყო ბერებისათვის, რომელნიც ერთს ადგილას სცხოვრებდენ და მარტო ღმერთს ევედრებოდენ. მრავალ მონასტრებს ჰქონდათ ვრცელი წიგნთ-საცავები, რომელნიც სავსენი იყვნენ ხელ-ნაწერი წიგნებით. ხელმწიფეები და ზოგიერთი მდიდარი კაცებიც კი ჰკრებდენ ხელთნაწერებს. საფრანგეთში კარლოს მეხუთემ დაარსა წიგნთ-საცავი, რომელშიაც მოიპოვებოდა 1,200 ცალი წიგნი. საზოგადოდ XIV საუკუნის დამლევს და XV დამდეგს საფრანგეთი ითვლებოდა ერთად ერთ მხარედ, სადაც იცემოდენ მშვენიერი და ლამაზი წიგნები. ამ საუკუნეშიაც წიგნებს გადაწერით ავრცელებდენ. წიგნის დედანი ავტორისაგან გადადიოდა გადამწერლების ხელში. ხშირად ხელთნაწერს უკარნახებდენ რამოდენიმე გადამწერთ. რადგანაც გადამწერნი უმეტესად უსწავლელნი იყვნენ, ამიტომ ისინი ბევრს შეცდომებს უშვებდენ წიგნებში და ხან სრულებით ამახინჯებდენ დედანის ნამდვილს აზრს.

წიგნების ავტორებმა იცოდენ ეს და ამიტომ ისინი ხმარობდენ განსაკუთრებით ზომებს, რომ თავიანთი ნაწერები დაეცვათ შეცდომათაგან გადაწერის დროს. ზოგიერთი ავტორები მხურვალედ სთხოვდენ გადამწერლებს, რომ მათ გადაწერის დროს შეცდომები არ გაეშვათ წიგნში.

რადგან ერთი წიგნის გადასაწერად დიდი დრო იყო საჭირო, ამიტომ წიგნებიც ძვირად ისყიდებოდა. მაგალითად, ხელ-ნაწერი დაბადება ღირდა 1000 ჩერვონეცი. მხოლოდ მდიდარ კაცებს შეეძლოთ მოეპოვებიათ წიგნები. წიგნების ავტორები ძალიან დიდ ფასს აძლევდენ მათ ნაწარმოების წაკითხვის მსურველთ. იმა დროის სასულიერო ანდერძებში განსაკუთრებითი ყურადღება აქვს მიქცეული დატოვებულ წიგნების საქმეს. წიგნების საკითხ ოთახებში ხშირად წიგნები ჯაჭვებით იყო ხოლმე მიკრულნი კედლებზე, რომ არავის მოეპარა ისინი.

ასეთ მდგომარეობაში იყო ევროპაში წიგნების გამოცემის საქმე საბეჭდავის შემოღებამდე.

(შემდეგი იქნება).

## «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

### მარტვილიდგან.

ყველამ უწყის, რომ მარტვილი, როგორც ადგილი, სადაც პირველად იქადაგა მოციქულმა ანდრია პირველ-წოდებულმა, დიდის ხნიდგან იყო ლამპრად განათლებისა და კეთილ-ზნეობისა არა მხოლოდ ჩვენს სამეგრელოში, არამედ მის ახლო-მახლო მხარეებშიაც. შემდეგ, დროთა ვითარებისა გამო, ქსრეთი მისი მნიშვნელობა რამოდენიმედ შემცირდა; შეუმცირებლად დარჩა მხოლოდ მნიშვნელობა მარტვილის საკრებულო ტაძრისა, როგორც ძველის ნაშთისა და მასთან ისიც, რაიცა ამ ტაძრის დაარსებიდგან უჩუქებია მისთვის ბუნებას — შესანიშნავი მდებარეობა. მხოლოდ ესლა დაგვირჩა მარტვილელებს შემდეგ იმ დიდებისა, რომლითაც ვხარობდით ჩვენ დროსა მარტვილის აყვავებულის მდგომარეობისასა; მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვკარგავდით იმედს და ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ამ ძველს ნაშთს და მის ადგილობითს მდებარეობას არასოდეს არ დაეკარგებოდა თავისი მნიშვნელობა და მისთვის ნიადაგ შევსცქეროდით ტაძარს და მისი ადგილის მშვენიერ მდებარეობას როგორც ნამდვილს წინდს მარტვილის მომავალის კეთილ-დღეობისას. ამაში ჩვენ, როგორც დღითი-დღე ვრწმუნდებით, არ მოვტყუებულვართ: ყოვლად სამღვდელომ, გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსმა გრიგოლმა,

მობრძანებისათანავე ჩვენს ქვეყანაში მღვდელ-მთავრად, შენიშნა მარტვილის სობოროს შეუსაბამო მდგომარეობა და მაშინვე შეუდგა ამ ტაძრის განახლებას, და დღეს მათი მეუფების მეცადინეობით იმ ადგილზედ, სადაც მოსჩანდენ მხოლოდ ნანგრევები და ცარიელი კედლები სახლებისა, ჩვენ ვხედავთ ახლად აღშენებულს მჯიროვასს ქვიტკირის სახლებს; მის მეუფებას ამით არ დაუსრულებია თავისი მეცადინეობა შესახებ მარტვილისა: მათმა მეუფებამ გამოითხოვა ნება უმაღლესის სასულიერო მთავრობისაგან დაარსებისათვის მარტვილში ორ-კლასიანის სამაგალითო (образцовая) საეკლესიო-სამრევლო სკოლისა და ამ ზაფხულშივე შეუდგა ქვითკირის სახლის შენებას სკოლისათვის. ყოვლად სამღვდელო გრიგორი თვითონ ადევნებს თვალს შენობის საქმეს, თავზე ადგია მუშებს და, იმედია, რომ სკოლის შენობა სრულიად მზად იქმნეს სექტემბერში. ეს სკოლა, იმედია, არ იქნება ისეთი, როგორიც არიან სხვა სამრევლო სკოლები ჩვენს ეპარქიაში; ეს სკოლა იქნება სამაგალითო (образцовая), სადაც უნდა იქმნენ მასწავლებლად სასულიერო სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი პირნი. ამ სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ უმაწვილებს შეუძლიანთ პირ-და-პირ გადავიდნენ სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში, უკეთუ ამასთან ისინი ცოტა ლათინურს ენასაც შეისწავლიან. საეჭვო არ არის, რომ ამ შემთხვევაში მარტვილი თავის მდებარეობით, ჰავით, ხორაგეულობის და სხვა ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებათა სიიაფით მიიზიდავს ყურადღებას საზოგადოებისას და ჩქარა გაამრავლებს, უიმისოდაც არა მცირე რიცხვს, თავის მომხრეებისას, ასე რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ხსენებული სკოლა, ძალიან ადვილად შესაძლებელია, გადაკეთდეს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლად ისე, როგორც წინეთ, 1869 წელში გადაკეთდა აქ ესეთივე ორ-კლასიანი სკოლა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლად—ეს შესაძლებელია, მით უმეტესად, რომ ეს სკოლა არის სახელმწიფო და არა კერძო, საჭირო ხარჯი სკოლას მიეცემა სასულიერო მთავრობისაგან. ამ სკოლაში შემსვლელთა რიცხვი მრავალი იქნება.

მარტვილმა თავის მდებარეობით და მნიშვნელობით მიიქცია ყურადღება არა მხოლოდ სასულიერო მთავრობისა, არამედ სამოქალაქო მთავრობამ ღირსად იცნო ეს ადგილი, რომ აქ დაარსებულ იქმნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი. დღეს აქ არის მომრიგებელი მოსამართლე, გამომძიებელი, პოლიციის ბოქაული, სასოფლო სასამართლო, სასოფლო სკოლა და აფთექა. რასაკვირველია ასეთის ადგილისათვის საჭირო იყო გზაც და მთავრობამ ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. მართალია, აქ ეხლაც არის მისასვლელ-მოსასვლელად ხეირიანი გზები, მაგრამ პოლიციის ბოქაული ბ. ჯაჯანოვი ძალიან ცდილობს, რომ ეს გზა კიდევ უფრო გააუმჯობესოს, რომ ყოველი მხრიდან დაუბრკოლებლად შეეძლოს კაცს მარტვილში მოსვლა ეტლით. ამ მიზნის აღსასრულებლად ბ. ჯაჯანოვს, თითქმის, ყოველ დღე ჰყავს მუშები გზებზედ დაყენებული სამუშაოდ, თვითონ თავზედ ადგია მუშებს, და იმედია, რომ ამ მოკლე ხანში ჩვენი მარტვილი გზის შესახებაც იქმნეს დაკმაყოფილებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტვილს თავის საჭიროებასთან საზოგადო საჭიროებაც არ ავიწყდება: აქ ადგილობითი ბლაღოჩინის გაწერელიას თაოსნობით შეიკრიბა რამოდენიმე მანეთი ჩვენი ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძის სახსოვრად დაარსებული ფონდის სასარგებლოდ. აქაურმა მცხოვრებლებმა ძლიერ თანაუგრძნეს ამ კეთილს საქმეს. ერთი სიტყვით, ჩვენი მარტვილი თან-და-თან წარმატებაში შედის—ჰყვავის და ხარობს და მისი ეხლანდელი მდგომარეობა კარგს მომავალს გვპირდება. წარმოიდგინეთ მდგომარეობა იმ კაცისა, რომელიც ნაჩვევი იყო დიდებულად და ფუფუნებით ცხოვრებას და შემდეგ, დროთა ვითარებისაგამო, იგი მოაკლდა ამ გვარ ცხოვრებას!! სწორეთ ასეთი იყო მდგომარეობა ჩვენის მარტვილისა და ღმერთმან ინებოს მისი გამობრუნება და წარმატება.

მარტვილელი.

## წიგნთ-საცავი სოფელს კავთისხევში *).

ჩვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალლადის ლოცვა-კურთხევით და ნება-დართვითა 1-ს იანვარს 1889-სა წელსა სოფელს კავთისხევში გაიხსნა საზოგადო წიგნთ-საცავი.

*) ეს წიგნთ-საცავი გაიხსნა კავთის-ხევის საბლაღოჩინო ეკლესიების კრებულთა დახმარებით ბლაღ. მღვდლის დავით ბარნაბოვისაგან. თვითეულმა კრებულმა ამ წიგნთ-საცავის დაარსებისა და პირველ მოწყობისათვის შემოიტანა თითო თუმანი ფული, ხოლო სამუდამოდ წარმოებისათვის, გამოსაწერად ახლად დაბეჭდილ წიგნთა და გაზეთთათვის უნდა შეიტანონ წელიწადში ორ-ორი მანეთი. ფულის შეკრება დაიწყო 1 იანვრიდგან 1888 წლისა.

მიზანი ამ წიგნთ-საცავისა არის: 1) განამრავლოს ამ სოფლის მცხოვრებთა შორის სასულიერო შინაარსის წიგნები, და ამით გაუადვილოს ხალხს სასულიერო და კეთილ-ზნეობითი შინაარსის წიგნების კითხვა; 2) მისცეს ნასწავლ მღვდლებს. რომელნიც ზრუნავენ სასარგებლოდ ერისა, სახელმძღვანელო წიგნები და მასალა, რომელთა უმექონებლობისა გამო მრავალი მშრომელი მღვდელი ჯეროვანად ვერ მოღვაწეობს და 3) მოიპოვოს საკითხავი წიგნები ეკკლესიის მცირე ნასწავლ კრებულთათვის, რომ მათ თავისუფალ დროს იკითხონ ეს წიგნები და მით აღიმაღლონ თვისი ზნეობა, და აგრეთვე აღამაღლონ თავიანთ სამწყსოს ზნეობა, ამისათვის ამ წიგნთ-საცავში იქნება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომელნიც კი თავიანთის შინაარსით არ ეწინააღმდეგებიან როგორც ჩვენს სამოქალაქო წესწყობილებასა, ისე სჯულსა და ქრისტიანულს მაღალს ზნეობასა. აგრეთვე იქნებიან მოპოვებულნი, შეძლებისა და გვარად, ამ გვარისავე შინაარსის რუსული წიგნებიც. ამ წიგნთ-საცავიდგან წიგნების საკითხავად წაღება შეუძლია ყველას: თავადს, აზნაურს, გლეხს და სასულიერო წოდების პირთა, მიუხედველად სქესისა და წლოვანებისა—ერთის სიტყვით ვისაც შეეძლება წაკითხვა და წაკითხულით სარგებლობა; ამ წიგნთ-საცავიდგან წიგნების წაღება შეუძლიათ მხოლოდ კავთისხევის საბლაღოჩინო ოლქის მცხოვრებთ.

### წესი წიგნების ხმარებისა.

1. ყოველი ეკკლესიის კრებული კავთისხევის საბლაღოჩინო მაზრისა, მოვალე არის ხსენებულის წიგნთ-საცავიდგან წაიღოს ის წიგნი, რომელსაც ისურვებს მისი სამწყსოის რომელიმე წევრი.

2. ყოველს ეკკლესიაში, მედავითნის წინ—ანალოგიაზედ იქნება ხსენებულის «წიგნთ-საცავის წიგნების სია, საიდგანაც მსურველს შეუძლია ამოირჩიოს წიგნი.

3. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ წიგნები თავისი ეკკლესიის კრებულისაგან და კრებული მოვალე არის მიუტანოს მსურველს ნათხოვნი წიგნი,

4. მსურველს შეუძლია პირ-და-პირ მიიღოს წიგნი ამ წიგნთ-საცავიდგან, თუ კი მას იცნობენ და მასთან, თუ იგი არის სანდო პირი, ანუ თუ მსურველი დასტოვებს წიგნთ-საცავში ჯეროვან გირაოსა, ანუ ფულსა, რომელსაც პატრონი მიიღებს მისგან წაღებული წიგნის დაბრუნების შემდეგ.

5. ვინც დაჰკარგავს წაღებულს წიგნს, მან უნდა გარდაიხადოს წიგნის ფასი, და ისიც, რაც წიგნის მოპოვებაზედ დახარჯულა.

წიგნთ-საცავის გამგე მ. დ. ბარნაბოვი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ამა თვის ექვს საგანგებო მატარებლით მოვიდა თბილისიდგან წითას გვირაბის დასათვალიერებლად სახელმწიფო კანტროლიორი დ. ტ. ს. ტერტი ივანეს ძე ფილიპოვი. წითიდგან მათი მაღალ აღმატებულება გაემგზავრა ბორჯომს, საიდგანაც ამავე თვის 7-ს, ღამით, გაემგზავრა ქუთაისში. რვა ამა თვეს, დილის რვა საათის ნახევარზე ბ. ფილიპოვი გაემგზავრა, გელათის მონასტერში. როგორც მკითხველებმა იციან, რვას ენკენისთვეს არის გელათის ტაძრის დღეობა და ამიტომ ამ დღეს აქ მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. წირვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც განუმარტა მლოცველებს რიგის სახარების სიტყვები სასუფეველზე. ცუდი ტაროსის გამო წელს მლოცველები უფრო ნაკლებად იყვნენ, ვინემ წარსულს წელში. ნაწირვებს მონასტრის წინამძღვარმა მიიწვია ჩაიზე და საუზმეზე ბ. ფილიპოვი და მისი მხლებლები. საუზმის გათავების შემდეგ მათმა მაღალ

აღმატებულებამ ინება მონასტრის და მასში დაცული ძვირფასი ნივთების დათვალიერება. მონასტრის წინამძღვარმა და დეკანოზმა ღამბაშიძემ უჩვენეს ბ. ფილიპოვს ყველა ძვირფასი ნაშთები. ბ. ფილიპოვმა დიდის კმაყოფილებით დაათვალიერა მონასტრის ყველა ძვირფასი ნაშთები და მოისმინა ისტორიული მოთხრობა ამა მონასტრის შესახებ, მაგრამ მათ სამწუხაროდ დაურჩათ დღევანდელი ღარიბული მდგომარეობა მონასტრისა. მათმა აღმატებულებამ დაუტოვა მონასტერს შესაწირი და მასთან აღუთქვა შემწეობის აღმოჩენა. საღამოზე მათი აღმატებულება დაბრუნდა ქუთაისში.

*

* *

რუსული გაზეთების სიტყვით უკვე შესდგომიან რამოდენიმე მილლიონი ბლანკების ბეჭდვას, რომელსაც ამზადებენ საერო აღწერისათვის. ამ მოკლე ხანში გაეგზავნება ადგილობით მთავრობათა დარიგებანი, თუ ვინ უნდა იქმნენ აღმწერლებად. აღწერა უნდა გათავდეს ერთ დღეს. ხარჯი აღწერისათვის ნაანგარიშებია სამი მილლიონი და ორასი ათასი მანეთი. უმთავრესი ხარჯი მიდის საჭირო ქაღალდების დამზადებაზე და აღმწერლების დასაჩუქრებაზე.

*

* *

უკვე გამოცხადებულია უმმართებელესი სენატის უქაზი, რომლის ძალით ამ მდგომარე წელში უნდა მოწვეულ იქმნენ სამხედრო ბეგრის აღსასრულებლად სულ 260,000 კაცი. აქედგან კავკასიაში გამოწვეულ იქმნება 2400 კაცი.

***

ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში საღმრთო ისტორიის მასწავლებლად დაინიშნა ბ. დათოშვილი, გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ნამყოფი.

* *

*

ამა თვის 16, დღით კვირას, აკურთხებენ სურამის გვირაბს. გვირაბის საკურთხად მიწვეულია ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავის კრებულით. კურთხევა მოხდება წიფის რკინის გზის ახალს სადგურზე, დილის თორმეტ საათზე. გვირაბის კურთხევაზედ დასასწრებლად მოწვეულნი არიან თბილისიდგან საპატიო პირნი ორას კაცამდე, რომელნიც ამ დროისათვის საგანგებო მატარებლით მოვლენ. გვირაბის კურთხევაზე დაესწრება გზათა მინისტრი, რომელიც ამ დღეს ქუთაისიდგან დაბრუნდება წიფას. კურთხევის წესის შესრულების შემდეგ მატარებელი ვაგონებით გაივლის გვირაბში და მივა ბეღლეთის რკინის სადგურზე, სადაც სადილი იქმნება გამართული მოწვეულ პირთათვის.

*

* *

გაზეთ «დენ»-ში ვკითხულობთ შემდეგს: მ. იოანნე კრონშტანდელი, რომელმაც ამ ბოლოს დროს ასე გაითქვა სახელი თავისი სასწაულებით, არავის უარს არ ეუბნება ლოცვაზე. მისთვის ერთია, ვინც კი უნდა სთხოვოს მას ლოცვა. მ. იოანნესთან ამას წინეთ მისულა ერთი თათარი, რომელსაც ცოლი ჰყოლებია ძალიან ავად.

მამაო, ეუბნება თათარი მ. იოანნეს, მე გაგონილი მაქვს, რომ შენი ღმერთი ძლიერია ჩვენს ალლახზე; შენი ლოცვით ჩვენს მეზობელს მოურჩა ბავშვი; შეევედრე ღმერთს ჩემი ცოლისათვისაც.

კარგი, უპასუხებს მ. იოანნე, ერთად ვილოცოთ. მ. იოანნემ დაიჩოქა და დაიწყო ლოცვის კითხვა; თათარი იცემდა ხელს გულში და იმეორებდა ლოცვას. ილოცეს ერთ საათამდის, და როცა ფეხზე წამოდგნენ, თათარს თვალებიდგან ცრემლები ჩამოდიოდა.

წადი სახლში მშვიდობით, უთხრა მ. იოანნემ თათარს. ამ თათარს ცოლი მართლა მოურჩა და ამის შემდეგ მთელი სახლობით მიიღო მართლმადიდებელი აღსარება».

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

## მრავალ წამებული იობი.

(გაგრძელება *).

Დაიწყო ხელახლად ელიფასმა; მან უთხრა იობს შემდეგი: მაგრე ამაყად რად იყურები, და რად მიავლენ სულსა შენსა წინაალმდეგ Ღვთისა? რა არის კაცი, რომ იგი იქმნეს მართალი და წმიდა? Ღმერთსა წმიდათა ზედა არა სწამს და ცაც არა არს წმიდა წინაშე მისსა. მით უმეტეს საძაგელ და არა წმიდაი არს კაცი, მსმელი უსამართლოებისა თანასწორ სასმელისა. ყური დამიგდე, მე გეტყვი შენ, რაც ვიცი. არა წმიდა აწვალებს თავის თავს მთელს თავის სიცოცხლეში, ხოლო შიში მისი ყურსა შინა მისსა; მას არა სწამს დაიფაროს თავი ბნელისაგან და თავის წინაშე ხედავს სახმილსა; იგი ესახლება დაქცეულ ქალაქებში და სახლთა შინა უმკვიდროსა. Არცა განმდიდრდეს იგი, არცა დაუშთეს მონაგები თვისი; იგი ვერ განშორდება ბნელსა; იგი გარდაიცლება არა თავის დროზე და ტოტნი მისნი არ ამწვანდებიან. Ასე დაემხობა სახლი არაწმიდისა, და ცეცხლმან დასწვის სახლნი ქრთამის მიმღებთა.

Დაიწყო ხელახლა იობმა: ძაძა შევიკერე ტყავსა ზედა ჩემსა და თავი ჩემი დავსდევ მიწასა ზედა, პირი ჩემი შეიწვა ტირილისაგან, სუნთქვა ჩემი დასუსტდა, დღენი ჩემნი მოაკლდებიან, საფლავი წინაშე არს. მაგრამ მე არ უწყი უსამართლოება და ლოცვა ჩემი წმიდა არს. და აწ აჰა ცათა შინა არს ხმინება ჩემი, ხოლო მოწამე მფარველი ჩემი მაღალთა შინა არს; მას შესტირის თვალი ჩემი. მეყავნ მე მფარველ შენს წინაშე. Თორემ ვინ მითავმდებებს მე? დაჰფარა თვალი ჩემი მწუხარებამ და ასონი ჩემნი არიან როგორც ჩრდილ; ბნელსა შინა დავიგებ მე ქვეშსაგებსა და ვეტყვი საფლავსა ჩემსა: შენ ხარ მამა ჩემი, ხოლო მატლს ვეტყვი: შენ ხარ დედა და და ჩემი. სადღაა ამის შემდეგ ჩემი იმედი? იგი ჩავალს ჯოჯოხეთსა შინა და ჩემთან ერთად განისვენებს მიწასა შინა.

მიუგო იობს ვალდადმა: ნათელი არა წმიდათა დაშრტეს და არა გამოუხდეს მათ ალი. სასანთლე მისი დაშრტეს, შემცირდეს ძლიერება მისი, სცოდოს მას განზრახვამან; შთავარდეს საბრხესა შინა ფერხნი მისნი ბადითა რათა შეიხვიოს, და მცარცველმა დაიჭიროს იგი. Წარსწყმიდოს იგი სალმობითა, დასუსტდეს ძალი მისი სიმშილისაგან და მზად არის დაცემა მისი. სახლი მისი დაიმკვიდრონ სხვათა, წარწყმდების ხსენება მისი პირისაგან ქვეყანისა, განეშოროს იგი ნათლისაგან ბნელად და აღიხოცოს იგი ქვეყნისაგან. არ დარჩება მას არც ძე და არც შვილის-შვილი სახლსა შინა მისსა.

მიუგო იობმა მეგობრებს: სანამდის მაწვალებთ მე, სანამდის ლამსცემთ მე სიტყვათა თქვენთა? ეს ათჯერ შემაშინეთ მე და არ გრცხვენიათ, რომ ასე მავიწროებთ მე. თუ მე მართლა შევსცოდე, ჩემი შეცოდებანი ჩემთანვე დარჩებიან; თუ თქვენა გსურთ იქოთ თქვენი თავი ჩემს წინაშე და შემარცხვინოთ მე ჩემი ცოდვით, იცოდეთ, რომ ღმერთმა შემაშფოთა მე, განმძარცვა ჩემგან დიდება და მიმიხვნა გვირგვინი თავისაგან ჩემისა და მოჰკვეთა სასოება ჩემი. ძმანი ჩემნი განმეშორნეს მე, მეგობარნი ჩემნი უწყალო მექმნეს მე, მახლობელთა დამაგდეს და დამივიწყეს მე; წინაშე მხილველთა ჩემთა ვიქმენ ვითარცა უცხო თესლი; სულთქმა ჩემი აწუხებს ცოლსა ჩემსა; პატარა ბავშვებსაც კი ვეზარები მე და დამცინიან; მომიძაგეს მე მხილველთა ჩემთა, რომელნიც მიყვარდენ მე. ტყავი ჩემი მიეკრა ძვალთა ჩემთა. შემიწყალეთ მე, ჰოი მეგობარნო, რამეთუ ხელნი უფლისანი შემეხნენ მე. თქვენ რაღასთვის მდევნით მე? მაგრამ უწყი მე, რომ მხსნელი ჩემი ცხოველ არს და უკანასკნელსა შინა დღესა ქვეყნისაგან აღვსდგე და კვალად შემოსილ ვიქმნე ტყავსა შინა ჩემსა და ხორცსა შინა ჩემსა ვიხილო ღმერთი ჩემი, ვიხილო იგი თვით მე ჩემი თვალითა.

Სოფარმა აღაღო ბაგენი თვისნი და რქვა იობს: დასაბამიდგან, როცა კაცი გაჩნდა ქვეყანაზე, შვება არაწმიდათა არს დაცემა საშინელ და სიხარული უსჯულოთა წამიერია. ცამდისაც რომ აღუიდეს მისი

*) იხ. «მწყემსი» № 15 1890 წ.

დიდება და თავი მისი მიაწლოს ღრუბელთა, იგი საუკუნოდ დაილუპვის და გაქრება როგორც მოჩვენება ღამისა. ძენი მისნი შესთხოვენ მათხოვართა.

მიუგო იობმა და რქვა: როგორ არ უნდა ჩავარდე მე სასოწარკვეთილებაში? შემომხედეთ მე და განცვიფრდით; რამეთუ მოვიხსენო, განსცვიფრდე, რამეთუ შეუპყრიეს ხორცი ჩემი სალმობასა. რატომ სცხოვრებენ არა წმინდანი ღრმა სიბერემდის? შვილნი მათნი წინაშე თვალთა მათთა არიან და შვილის-შვილნი წინაშე თვალთა მათთა. სახლი მათი წარმართებულ არს და ქენჯნა უფლისაგან არა არს მათზედა. ჯოგივით უშვებენ თავიანთ ყმაწვილებს, ატარებენ თავის სიცოცხლეს ბედნიერებაში და მშვიდობით გარდაიცვლებიან. იგინი ეტყვიან უფალს: განგვეშორე ჩვენგან, გზათა შენთა ცნობად არა გვნებავს! რა სასარგებლოა შეუდგეთ უფალსა და ვემსახურებოდეთ მას? თქვენ იტყვით: უფალი ინახევს მსგავს კაცთა უბედურებას მათი შვილებისათვის. უკეთესი არ არის, რომ თვითონ მათ მიაყენებდეს ამ უბედურებათ, უკეთესი არ არის, რომ იმათმა საკუთარმა თვალმა იხილოს თავიანთი უბედურება და თვითონ უსჯულოთა მიიღონ სასჯელი უფლისაგან! მაგრამ განა ღმერთს უნდა ვასწავლოთ სიბრძნე, როდესაც ის თვითონ ამსაჯულებს მაღალთა შინა მყოფთა?

შაწყვეტინა ხმა იობს ელიფაზმა: განა შეუძლია კაცს რამე სარგებლობა მოუტანოს ღმერთს? გონიერ კაცს შეუძლია თავისთავს მოუტანოს სარგებლობა. რა დიდი რამ არის ყოვლის-მპყრობელისათვის, რომ შენ მართალი კაცი ხარ? რა სასარგებლოა ღვთისათვის შენი უბიწოება. ალბათ შენი ბოროტება დიდია, ალბათ შენი ბოროტება აურაცხელია. ალბათ შენ ღარიბთა სცარცვავდი. ალბათ მწყურვალთა არ ასმევდი და მშიერთა არ აჭმევდი პურსა. ალბათ არ გებრალებოდა მქვრივნი და ობოლნი და ამისათვის გსჯის შენ უფალი და აღგაშფოთა შენ მოულოდნელმა უბედურებამ.

იობმა მიუგო კვალად: წვალება ჩემი უმეტესია ჩემ კვნესათა. ჰო, რომ შემეძლოს მე უზენაესის ტახტთან მიახლოება! მე მოუთხრობდი უფალსა ჩემს საქმეთა და ბაგენი ჩემნი აღივსებოდნენ სიმართლითა. გარნა ღმერთმან უწყის გზა ჩემი; და გამომცადოს მე — გამოვალ, ვითარცა ოქრო. ფეხი ჩემი მტკიცედ დამყარებულ იყო ღვთის გზაზედ. გზათა უფლისათა მე ვიცავდი ხოლო: არა განვშორებულვარ მათ; მცნებათა უფლისათა და სიტყვათა მისთა მე ვიცავდი. მაგრამ უფალი მტკიცე არს. ის იზამს რაიცა ნებავს სულსა მისსა; ის აღასრულებს რაც დაწესებულია ჩემთვის; ამისათვის მე ვკრთები წინაშე პირისა მისისა, გულისხმას ვჰყოფ და მეშინის მისა.

და მიუგო ვალდადმა იობს: ყოვლის მპყრობელობა და შიში უფლისა, რომელი ჰყოფს ყოველთა მაღალთა შინა. არის ლა რიცხვი მხედრობისა მისისა? ვის არ ანათებს სინათლე მისი? როგორ უნდა გაიმართლოს კაცმა თავი თვისი წინაშე მისსა და როგორ შეუძლია წმიდა ყოფად მის წინაშე შობილსა დედაკაცისაგან? უკეთუ მთვარესა უბრძანოს და არა ნათობს, ხოლო ვარსკვლავნი არა წმიდა არიან წინაშე მისსა. უმეტესად კაცი, რომელიცა არის მატლ, და ძე კაცისა რომელიც არის სიმპალე.

მიუგო იობმა ვალდადს: როგორ შეეწიე შენ უძლურსა! როგორი რჩევა მიეც არა ბრძენსა და როგორ აღუხსენ საქმე! შიშველ არს ჯოჯოხეთი წინაშე უფლისა. უფალმან დაჰკიდა ქვეყანა არარაისა ზედა, მან შეჰკრა წყალი ღრუბელთა შინა. მან დაამტკიცა საყდარი თვისი და გარეშემო განფინა ღრუბელნი; ძლიერებითა თვისითა დაამშვიდებს ღელვათა ზღვათასა. ცხოველ არს უფალი, რომელმან ესრედ მისაჯა მე, და ყოვლის მპყრობელი, რომელმან განამწარა სული ჩემი. ვიდრემდის სამშვინველია ჩემში და სული საღმრთოი ცხვირთა შინა ჩემთა, არა სთქვან ბაგეთა ჩემთა უმართლოება და ენამან ჩემმან არა წარმოსთქვას სიცრუე. ვიდრემდის არ მოვკვდები, არ შევცვალო უმანკოება ჩემი. მტკიცედ ვიდექი სიმართლეზე და არ ვაგდებ მას; არ მამხილებს მე ჩემი გული დღეთა შინა ჩემთა. ვითარი არს სასოება არა-წმიდისა, ვინაიდგან ღმერთი განაგდებს სულსა მისსა?

ნუ თუ ვედრებისა მისისა ისმინოს უფალმა, როცა ეწიოს მას უბედურება? ნუ თუ ნუგეშის ცემულ იქმნეს იგი ყოვლის მპყრობელისაგან და ძალუძს მას მოუწოდოს უფალსა ყოველსა ჟამსა? ესეთი ბოლო მოელის კაცსა არა წმიდასა უფლისაგან; აი სამკვიდრებელი, რომელსა მიიღებენ უფლისაგან ძლიერნი: უკეთუ მრავალ იქმნენ ძენი მათნი, დასაკვლელ იქმნენ; მათი შთამომავალნი არ გაძღნენ პურითა; ხოლო ცხოველნი იგი სიკვდილითა მოსწყდენ; თუმცა მათ შეიკრიბონ ვეცხლნი და მოიმზადონ ტანთ-საცმელი, იმ ტანთ-საცმელით შეიმოსოს მართალი, ხოლო ვეცხლი იგი მიიღოს უბიწომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსჯულო, როგორც მღილი, აშენებს თავის სახლს; მდიდარმა დაიძინოს, ხოლო თვალნი თვისნი ალიხილნოს, და არა არს. შეემთხვნეს მას ვითარცა წყალნი სალმობანი და ღამე წარიტაცოს იგი ქარიშხალმა.

ვეცხლსა აქვს ადგილი, საიდგანაც იშოვების და ადგილი ოქროისა, სადაც იგი განიწმიდების; რკინა იშობების მიწისაგან; ხოლო თუთბერი გამოიკვეთების სწორ ქვისაგან. კაცი ეძიებს მადანს მიწაში, სთხრის ჭებს, ჩადის სიღრმეში, კლდეებში გაჰყავს თხრილები, აყენებს ნაკადულთა მიმდინარეობას და დაფარული ამოაქვს ზემოდ. ხოლო სად იპოვება სიბრძნე! სადა არს ადგილი გონებისა? კაცმა არა უწყის მისი გზა და არც იპოვება იგი კაცთა შორის. უფსკრული იტყვის: იგი არ არს ჩემში. ზღვა იტყვის: არ არს იგი ჩემთანა. იგი არ იშოვების ოქროითა, არ მოიპოვების იგი წონა ვეცხლითა. იგი დაფარულ არს თვალთაგან კაცთასა და ფრინველთაგან ცისათა. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის მისი გზა, მან უწყის ადგილი მისი, ვინაიდგან ღმერთი ცისა ქვეშე ყოველსავე ხედავს. ქართა საწონი, წყალთა საწყაული ოდეს ჰყო, ოდეს დაუდვა გზა ელვასა, მაშინ იგი ხედვიდა მასს, მოამზადა იგი, გამოსცადა იგი. და უთხრა კაცსა: შიში უფლისა არს ჭეშმარიტი სიბრძნე, ხოლო განშორება ბოროტთაგან არს მეცნიერება.

ქვალად რქვა იობმა: ოხ, ნეტავ დღესაც იმ მდგომარეობაში ვიყო, რომელშიაც ვიყავი მაშინ, როცა უფალი მიფარავდა მე, როცა მისი მოწყალება იყო ჩემს სახლზე! ხოლო დღეს გარე მომადგეს მე უბედურებანი, განვიდა ჩემგან სასოება, ვითარცა ქარი და ვითარცა ნისლი ცხოვრება ჩემი. და აწ ჩემზედა დაინთხეს სული ჩემი და შემიპყრეს მე დღეთა მწუხარებისათა; ღამით ძვალნნი ჩემნი გამწარებულ არიან, ხოლო ძარღვნი ჩემნი დაიხსნეს. მუცელი ჩემი დუღს, მე დავდივარ გაშავებული, მაგრამ არა მზისაგან; შევიქენ მე ძმად ტურებისა და მეგობრად სირაქლემათა. შენდამი მოვიღტვი, უფალო, მაგრამ შენ არ ისმინე ჩემი. შენ ძლიერითა ხელითა შენითა დამაწყლულნე მე და მუსრავ მე. რა მომელის მე უფლისაგან ზეცით? რა სამკვიდრებელს უნდა ველოდებოდე მე ყოვლის მპყრობელისაგან? რა კარგი იქმნება, რომ დამდებდენ მე უღელთა ზედა სიმართლისათა, მაშინ უფალი იხილავს ჩემს უმანკოებას.

უკეთუ ჩემნი ფერხნი მიდრკენ გზისაგან, თუ რაიმე უსჯულოება ჩაიდინეს ხელთა ჩემთა; მაშინ რაიცა ვსთესო, მოიმკოს სხვამ, და უძირო ვიქმნე ქვეყანასა ზედა. უკეთუ გული ჩემი იტყოდა დედაკაცისა ქმრისა სხვისისასა, და მე მჯდომარე ვიქმენ ბჭესა მისსა, მაშინ ცოლი ჩემი ეყოს სხვასა ქმარსა და დეე, სხვანი დასცინოდენ მასს; ვინაიდგან ეს დამნაშაობა, ეს უსჯულოება ღირსია დასჯისა. თუ მე შეურაცხვყვე უფლებანი მონისა, მაშინ რა უნდა მიუგო უფალსა, რომელმაც შემქნა მე მუცელსა შინა, შექმნა აგრეთვე მოსამსახურეც? განა ოდესმე მე უარი უყავ გაჭირებულთ და არ შევეწიე ქვრივთა? განა მარტო მე ვსჭამდი ჩემს პურს და მისგანვე არ შიჭმევია ობლისათვისაც? განა როცა ვიხილავდი შიშველთ, არ შევმოსავდი მათ ჩემი ცხვრების მატყლითა. თუ მე ოდესმე შევხებივარ ობოლთა ჩემი ხელით, მაშინ, დაე, ჩემი ხელი მოსწყდეს ნიდაყვამდის. განა მე დაიმედებული ვიყავი ოქროზე, განა მე ოდესმე უთხარ ჩემს ქონებას: შენ ხარ ჩემი სასოება! განა მიხაროდა მე, რომ დიდი სიმდიდრე მქონდა, რომ ხელმა ჩემმან შეიძინა მრავალი, და განა ბაგენი ჩემნი ეამბორებოდენ ხელთა ჩემთა? ესეც ხომ დამნაშაობა იქმნებოდა, რომელიც ღირსია დასჯისა; ვინაიდგან მე ამით უარსა ვჰყოფდი უფალსა. განა სასიხარულო იყო ხოლმე ჩემთვის მტრის დაღუპვა და ან ოდესმე მიმიცია ნება ჩემი თავისთვის დამეწყევლა მტერი? მგზავრი არ ათევდა ღამეს ქუჩაზე; ჩემი სახლის კარები გაღებული მქონდა გამვლელთათვის. თუ მე ოდესმე შევაწუხე ქვეყანა და უფასოდ ვსჭამე ნაყოფი მისი და შევავიწროვე მიწის მუშა, მაშინ, დეე, პურის მაგიერ აღმომივიდეს მე კუროსთავი, ხოლო ქერის მაგიერ ღვარძლი. ოხ, ნეტავი ვინმე ისმინოს ჩემი. მე მსურს, რათა უფალმა მომიგოს მე და მფარველმა ჩემმან შეადგინოს აღწერა. მე ვატარებდი მას მხართა ზედა ჩემთა და დავიდებდი მას თავსა ზედა, ვითარცა გვირგვინსა.

(შემდეგი იქნება).

## რედაქციის პასუხი.

---

მღვ. ფ. ბარბაქაძეს. გარდაცვალებულის პატრონს უფლება არა აქვს, რომ მღდავითნე თავის მიცვალებულს დააყენოს თავზე და დავითნი აკითხოს უსასყიდლოდ. ამ შრომისათვის მედავითნეთ უფლება აქვსთ განსაკუთრებული სასყიდელი მოითხოვონ ისე, როგორც საორმოცო საწირავისათვის ურიგდებიან კრებულს განსაკუთრებით.

მღვდ. ს. თო—იას. თქვენი სიტყვა არ იბეჭდება.

მღვდ. დ. ბ—ბოვს. თქვენგან გამოგზავნილი სიტყვა, წარმოთქმული არქ. ტარასისაგან, არ იბეჭდება.

ბ. ი. ს—ძეს. თქვენგან გადათარგმნილი «საექიმო დარიგება» დასაბეჭდად არ ვარგა.

ზურგენ გურულს. თუ კარგად არის მომზადებული სასმელ-საჭმელი, მისი ჭამა შეიძლება და არასფერი ცოდვა არ არის, ვისგანაც უნდა იყოს მომზადებული ეს სასმელ-საჭმელი. უმეტესად თათრები აცხობენ პურს და მაშ შიმშილით უნდა დავიხოცოთ?!.

მღ. კირ. დანელიას. მეტრიკებს, აღსარებითი სიებს და კლიროვის უწყებათა მთავარდიაკონი და მედავითნენი უნდა აწარმოებდნენ. თქვენ იწერებით: «მთავარ-დიაკონმა და მედავითნემ თუ არ იცის ამ საბუთების წარმოება, მაშინ ვინ უნდა აწარმოოს ესენი». საბუთების წარმოების საქმის უცოდინარნი უნდა იქმნენ დათხოვნილნი და მათ მაგიერ უნდა განწესდნენ მცოდნე პირნი. ამას, ვგონებ, მეტი განმარტება აღარ უნდა.

მგზავრს. თქვენს შენიშვნაზედ რომ თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი მოგვეწერათ, მაშინ დავბეჭდავდით. რომ ყველა ის, რასაც იწერებით მოხუცებულ მღვ. გეგენავაზედ, მართალი იყოს, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ფსევდონიმს არ ამოეფარებოდით უგან...

---


ცეცხლის ზიანის

მზღვეველ საზოგადოების

**«ЯКОРЬ»-ის**

აგენტი ქუთაისში

**ილია მირიანის ძე ჭყონია**

იღებს საზღვევად ყოველგან ქუთაისის გუბერნიაში და სუხუმის ოლქში შენობებს, მოძრავს ქონებას და ზღვით ანუ ხმელეთით გასაგზავნს საქონელს. ადრესი: ქუთაისი, ი. მ. ჭყონია.

---

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ისტორია მართლ-მადიდებელ ეკლესიისა,**

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.


---

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 15 Сентября 1890 г.*
Типографія редакціи (П.Д. Гамбашидзе) Въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.